შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

დაახლოებით ათი წელია. რაც ტერენტი გრანელის ცხოვრებას და შემოქმედებას ვიკვლევ და ვსწავლობ. ჩემი უპირველესი მიზანი იყო შემეკრიბა და სისტემაში მომეყვანა მისი პოეტური შემოქმედება. ამ თვალსაზრისით. შევისწავლე პოეტის სიცოცხლეში გამოცემული წიგნები, 1914-1934 წლების ქართული პერიოდიკა, საქართველოს სალიტერატურო მუზეუმში დაცული მისი პირადი არქივი, აგრეთვე სხვადასხვა ოჯახებში შემორჩენილი ხელნაწერები. ამან თავისი შედეგი გამოიღო და გამოვლინდა ტერენტი გრანელის თითქმის სრული შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ეს ყველაფერი ერთად შევკრიბე, დავადგინე და დავაზუსტე თვითეული ნაწარმოების ტექსტი, შეძლებისდაგვარად დავათარიღე. წინამდებარე წიგნში, რომელიც ყველაზე სრულია, შევიდა როგორც ლექსები, ისე სალიტერატურო წერილები, დღიურები და პირადი წერილები. ლექსების უმეტესი ნაწილი, დღიურები და წერილები პირველად ქვეყნდება.

ტერენტი გრანელს გამოცემული აქვს ხუთი წიგნი (მპანაშვიდებინ, 1920 წ. მსამგლოვიარო ხაზებინ, 1921 წ. მსულიდან საფლავებინ, 1922. მMemento moriნ, 1924 წ. მლექსებინ, 1926 წ.) ამ წიგნებში დასტამბულია ასთვრამეტი ლექსი. ისინი თითქმის უკლებლივ შევიდა ამ ახალ გამოცემაში.